პროლეტარეპო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქმე

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ДЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

25 მარტი, ოთხშაბათი, 1987 წ.
№ 59 (9470) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმდინარეობს მოძრავი თამაშების საკავშირო კვირეული

ორი დღეა მიმდინარეობს მოძრავი თამაშების საკავშირო კვირეული. ამ ღონისძიებაში მონაწილეობენ მოსწავლეები, სტუდენტები, შრომითი კოლექტივები, ოჯახები... ახლა მოსწავლეთა საგაზაფხულო არდადეგებია და ამიტომაც განსაკუთრებული გამოცოცხლება მაინც საბავშვო მოედნებზე იგრძნობა. ამ ფოტოკადრებზეც სპორტთან დამეგობრებული ნორჩების გართობის მომენტებია ასახული.

ბიწვევთ პრესკონფერენციაზე

27 მარტს თბილისში იწყება სპორტის დამსახურებულ ოსტატ ა. კიკნაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ნორჩ ძიუდოისტთა დიდი საერთაშორისო ტურნირი. პრესკონფერენცია ამ შეჯიბრების ორგანიზატორების, დელეგაციების ხელმძღვანელებისა და მწვრთნელების მონაწილეობით გაიმართება ხვალ, 26 მარტს, 20 საათზე სასტუმრო „აჭარაში“.

იქვე ჩატარდება ჟურნალისტთა აკრედიტაცია.

ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გასაშლელად რესპუბლიკის საცხოვრებელ ადგილებში ჯერ კიდევ ბევრი შესაძლებლობები გვრჩება ასათვისებელი. ერთი ასეთი რეზერვია ყოფილი საბანკეტო დარბაზების გამოყენება. დღეს ერთ კონკრეტულ მაგალითზე სწორედ ამ საკითხზე ვამახვილებთ ყურადღებას.

იხ. მე-2 გვ.

თბილისის ჭადრაკის სასახლეში ტრადიციულად იმართება ნორჩ მოჭადრაკეთა ტურნირები. კვარტალში ერთხელ დედაქალაქის საჭადრაკო სკოლებისა და ჭადრაკის სასახლის წრეების აღსაზრდელები I, II და III თანრიგების მოსაპოვებლად იბრძვიან. აი, ახლაც, აქ კიდევ ერთი ასეთი შეჯიბრება დამთავრდა. ხურათზე სწორედ ამ ტურნირის მონაწილენი არიან აღბეჭდილნი.

ეს შეჯიბრება 1981 წლიდან სისტემატურად ტარდება და ტრადიციული გახდა. „მხიარული ბურთის“ პრიზზე ყოველწლიურად ჩვენს დედაქალაქში ნორჩ ფეხბურთელთა რამდენიმე საუკეთესო გუნდი იკრიბება. წლევანდელი ასპარეზობა, რომლის ორგანიზატორები არიან საქართველოს კომპარტიის თბილისის გლდანის რაიკომი, რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი და კომკავშირის რაიკომი, გუშინ საზეიმოდ გაიხსნა სპორტკლუბ „სინათლის“ სტადიონზე. ტურნირში ჩაებნენ თბილისის „მართვე“ და „იმედი“, კიევის „ფაკელი“, ერევნის „კილიკია“, ბათუმის „დინამო“, ოჩამჩირის „ამირანი“ და ახმეტის „ბახტრიონი“. შეჯიბრების მთავარი მსაჯია წარსულში ცნობილი ფეხბურთელი მანუჩარ მაჩაიძე.

გთავაზობთ გუშინდელი შეხვედრების შედეგებს: „იმედი„—„ფაკელი“ 1:1; „მართვე“ — „დინამო“ (ბათუმი) 1:1. „ბახტრიონი“ — „კილიკია“ 1:3. ტურნირი 27 მარტს დამთავრდება.

ხურათზე: „მართვესა“ და ბათუმის „დინამოს“ ნორჩ ფეხბურთელთა შეხვედრის მომენტი.

ტექსტი და ფოტო ალექსანდრე კოტორაშვილისა.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

„ვიდრე უფროსები კინკლაობენ...“

გუშინ ჩვენმა გაზეთმა ამ ხაოურით გამოაქვეყნა კრიტიკული წერილი, რომელშიც ლაპარაკი იყო, იმაზე, რომ ვინაიდან ხაარენდო თანხა ვერ გადაიხადეს, თბილისის სპორტკომიტეტის სპორტნაგებობათა სამმართველოს საწყლოსნო კომპლექსზე საცურაოდ არ დაუშვეს სპორტსაზოგადოება „განთიადის“ ცურვის სპორტსკოლის 200-მდე მავშვი. გუშინ სადამოს რედაქციამ პასუხი მიიღო „განთიადის“ რესპუბლიკური საბჭოდან. პასუხში ვკითხულობთ:

„კრიტიკა სამართლიანია და ხავსებით ვიზიარებთ. ამჟამად მდგომარეობა გამოსწორებულია. გუშინ დილიდანვე ბავშვები დაუშვეს სამეცადინოდ. მიღებულია ზომები, რომ მსგავსი შემთხვევა მომავალში აღარ განმეორდეს“.

ზურაბ კუტალაძე,
სპორტსაზოგადოება „განთიადის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე.

გთავაზობთ ფინალადეგას!

იქნებ უკეთ ვუმასპინძლოთ

პირდაპირ ვიტყვით: როგორ გგონიათ, ყოველდღიურად თბილისში, სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, რუსთავში, ფოთში, გორში... რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში რამდენი მშობელი, ბებია ან ბაბუა მიდის სპორტულ ბაზებზე და ერთ საათს ან საათ-ნახევარს უცდის, სანამ ბავშვი მეცადინეობას დაამთავრებდეს? ბევრი, ძალიან ბევრი! რას აკეთებენ ამ დროს პატარებთან ერთად სპორტულ ბაზებზე მოსული უფროსები? არაფერს, ადრე ზოგიერთი ხელსაქმით (ქსოვით) ერთობოდა, მაგრამ ახლა ეს ბუმიც ჩაცხრა... სხედან და ელოდებიან, როდის დამთავრდება ბავშვების მეცადინეობა. ახლა ისიც ვთქვათ, შეიძლება თუ არა მათ რაიმე გონივრული შევთავაზოთ, რომ საათი, საათ-ნახევარი ადამიანმა უქმად არ დაკარგოს? რა თქმა უნდა, შეიძლება. პირველ ყოვლისა, ალბათ იმაზე უნდა ვიზრუნოთ, რომ ეს საშუალო და უფროსი ასაკის ხალხი მათთვის შესაფერის სექციებში და ჯგუფებში მოვიზიდოთ სამეცადინოდ, საამისო შესაძლებლობები და რეზერვი კი ყველგან არის; თუ არ არის, გამოჩნდება, რადგან მომსახურება ფასიანი (საბონემენტო) იქნება და შემოსავალი თავისთავად მოგვცემს საშუალებას გავზარდოთ შესაძლებლობები. თბილისის სპორტკომიტეტის საწყლოსნო კომპლექსში (დირექტორი ვ. გოიაშვილი) ყოველწლიურად 2250-მდე მოზარდი დადის უფროსების თანხლებით. აქ მართლა გულმოდგინედ ზრუნავენ, იმათზე, ვინც ბავშვს აცილებს. ზოგიერთი გამაჯანსაღებელ ჯგუფში მეცადინეობს, ზოგიც ამ პერიოდში ფიზიკაბინეტებში მასაჟს იღებს ან. მკურნალობის კურსს გადის. მართალია, ყველა მსურველს აქაც ვერ მასპინძლობენ, მაგრამ ახალი რეზერვების გამოვლენა, და ამოქმედება გრძელდება. სხვა ბაზებზე ალბათ სხვა საშუალებები გამოინახება. თუ ის არ ხერხდება, რაც თბილისის საწყლოსნო კომპლექსში გაკეთდა, იქნებ სიარულისა და რბენის მოყვარულთა ჯგუფები გავხსნათ (ამას ხომ საგანგებო ბაზა არ სჭირდება). ბევრგან შეიძლება მაგიდის ჩოგბურთიც დაიდგას. გასართობად ჭადრაკისა და შაშის სათამაშო ადგილი ხომ ყველგან შეიძლება გამოინახოს.

ერთი სიტყვით, თუ მოვინდომებთ, ყველაფერი შეიძლება.

უნდა მოვინდომოთ!

რეკორდი სტარტამდე

ბერლინი. მიმდინარე წლის მშვიდობის ველორბოლის მარშრუტია ბერლინი — პრაღა — ვარშავა. მშვიდობის მე-40 ველორბოლის ორგანიზატორებმა ახლახან მიიღეს განაცხადი შეჯიბრებაში მონაწილეობის თაობაზე მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული ფედერაციებისაგან. ამრიგად, მონაწილე ქვეყნების რიცხვმა მიაღწია ოცდაექვსს, რაც აღნიშნული ასპარეზობის რეკორდად ითვლება.

აი, რომელი ქვეყნები მიიღებენ მონაწილეობას მშვიდობის ველორბოლა-87-ში: ბელგია, ბულგარეთი, დიდი ბრიტანეთი, უნგრეთი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ჰოლანდია, ესპანეთი, იტალია, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, კუბა, მექსიკა, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სირია, სსრ კავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა, შვეიცარია, შვეცია, იუგოსლავია.



ველორბოლის საერთო სიგრძეა 1987 კმ (14 ეტაპი). ფინიში 23 მაისს ვარშავაში.

სიახლეთა ესტაფეტა!

მისაბაძი მაგალითი

ახლახან ტყიბულის ინდუსტრიულ ტექნიკუმში შეიქმნა ჯანმრთელობის ჯგუფი, რომელშიც თვრამეტამდე მასწავლებელი და მომსახურე პერსონალი გაერთიანდა. შემუშავდა სპეციალური დებულება, მეცადინეობის განრიგი და ჯგუფის სამუშაო გეგმა. ჯგუფს სათავეში ჩაუდგნენ მასწავლებლები: ა. ფხალაძე და ა. ცირეკიძე.

ეს წამოწყება მისაბაძი უნდა გახდეს სხვა საწარმო-დაწესებულებებისათვის, მითუმეტეს რომ ტყიბულში ამ საქმისადმი ნაკლებ ინტერესს იჩენენ — თითქმის არც ერთ საწარმოში და დაწესებულებაში არ არის შექმნილი ჯანმრთელობის ჯგუფი.

ელგერდი ბაქრაძე.
„ლენინის“ კორესპონდენტი.
ტყიბული.

ფოლადგათა მინიჭება

სსრ კავშირის სპორტსახკომმა ფეხბურთში სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა: **მურმან აკოფიანს, გია გილიგაშვილს, ბადრი დანელიას, გიგლა იმნაძეს, ალექსანდრე კონდრატიევს, ლევან მელიქიას, ბესიკ ფრიდონაშვილს, ენუქი თევზაძეს, მერაბ თევზაძეს, გოჩა ტყებუჩავას, თემურ ებანოიძეს, თემურ ჩხაიძეს** (ყველა — ლანჩხუთი, „კოლმეურნე“), **გურგენ ბენიძეს** (სოხუმის „დინამო“).

ხარვეზებზე — საჯაროდ!

ალვკვეთოთ ფორმალიზმი!

ყოველწლიურად, მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების პერიოდში, ტარდება საკავშირო ტურნირის ფინალური მატჩები „სწრაფი ბურთის“ პრიზზე. ნორჩ ხელბურთელთა ამ ასპარეზობას ერთობლივად ხელმძღვანელობს საკავშირო სპორტსახკომი და ალკკ ცენტრალური კომიტეტი. „სწრაფი ბურთი“, „ტყავის ბურთი“, „ოქროს ოვალი“, „თეთრი ეტლი“, „ოქროს შაიბა“, „შაში — საოცრება“ ნორჩი სპორტსმენების საყვარელი შეჯიბრებებია. სწორედ ამ ასპარეზობებიდან მოვიდნენ დიდ სპორტში ჩვენი სახელოვანი ფეხბურთელები, რეგბისტები, მოჭადრაკეები, ჰოკეისტები, მოშაშეები. ეს ასპარეზობები გახლავთ საშეედლო იმ დიდი ოსტატობისა, რამაც საბჭოთა სპორტს დიდება მოუტანა.

შეჯიბრება „სწრაფი ბურთი“ მასობრივი და კომპლექსურია — მონაწილემ ძალა უნდა სცადოს არა მარტო ხელბურთში, არამედ ხელოვნებაშიც (ცეკვა-თამაშში, მხატვრობაში), კარგად უნდა იცოდეს არჩეული სპორტის სახეობის ისტორია, თამაშის წესები. ერთი სიტყვით, ნორჩი ხელბურთელი საკმაოდ განათლებული უნდა იყოს.

ტურნირი სახელწოდებით „სწრაფი ბურთი“ ტარდება ეტაპობრივად: იმართება სასკოლო, რაიონული, საქალაქო, რესპუბლიკური და საკავშირო შეჯიბრებები. დასკვნით ეტაპზე გამოსვლის უფლება მხოლოდ საუკეთესოებს ეძლევათ.

საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენი რესპუბლიკის ნორჩი ხელბურთელები რატომღაც განზე დგანან და ამ შეჯიბრებაში არ მონაწილეობენ. დიახ, „სწრაფმა ბურთმა“ ვერ მოიგო ჩვენი ბავშვების გული. იმიტომ კი არა, რომ მათ არ იციან ხელბურთის თამაში, არამედ იმიტომ, რომ **რესპუბლიკაში ეტაპობრივი შეჯიბრებები არასოდეს ჩატარებულა და იგი არც წელს დაუგეგმავთ.** ნორჩები — თბილისის განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის სპორტული სკოლის გუნდები (გოგონები, ჭაბუკები), როგორც „რესპუბლიკურ შეჯიბრებებში გამარჯვებულნი“, მხოლოდ საკავშირო ტურნირის დასკვნით ნაწილში მონაწილეობენ (წელსაც ასეა გათვალისწინებული).

ხაკითხავია რა დააშავეს ბათუმის, სოხუმის, ჭუთაისის, რუსთავის, თბილისის „ბურევესტნიკის“ ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლებისა და რესპუბლიკის სხვა რაიონების ნორჩმა ხელბურთელებმა, რატომ არ ეძლევთ მათ საშუალებას თავიანთ თანატოლებს შეხვდნენ ჯერ სასკოლო, შემდეგ საქალაქო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში, რატომ ვუხშობთ გზას ფართო ასპარეზისკენ? ამით ხომ შეგნებულად ვზღუდავთ მასობრიობას! ბავშვებისათვის ყოველი შეჯიბრება დღესასწაულია. გადავხედოთ სხვა შეჯიბრებებს: „ტყავის ბურთს“, „ოქროს შაიბას“, „ოქროს კალათს“. რამდენი სიხარული მოგვაქვთ მათ ნორჩებისათვის. რატომ გვავიწყდება, რომ თითოეული ასპარეზობა სპორტის საუკეთესო პროპაგანდაა?

როგორ გგონიათ, სად შეიძლება ვიპოვოთ ახალი ცერცვაძეები და ანთაძეები, ფხაკაძეები და ანპილოგოვები, თუ არა ორგანიზებულად და საინტერესოდ ჩატარებულ ბავშვთა შეჯიბრებებში?

„სწრაფი ბურთის“ საკავშირო თამაშების ზონალური და ფინალური ტურნირები განზრახულია წელს ზაფხულში ჩატარდეს. ნუთუ ისევ თბილისელი ნორჩი ხელბურთელები მიიღებენ მასში მონაწილეობას, თანაც რესპუბლიკური თამაშების გვერდის ავლით, ნუთუ სოხუმელი, თელაველი, სხვა ქალაქების და რაიონების გუნდები კვლავ ასპარეზის გარეთ დარჩებიან?

დღეს, როცა ქართული ხელბურთი, მიუხედავად მდიდარი ტრადიციებისა, ნელ-ნელა კარგავს პოპულარობას, ვფიქრობ, გადაუჭრელი ზომების მიღებაა საჭირო ფორმალიზმის აღსაკვეთად და პრაქტიკული ნაბიჯების გადასადგმელად. „სწრაფი ბურთის“ პრიზის გათამაშება ჩვენს რესპუბლიკაში ხელბურთის დღესასწაულად უნდა ვაქციოთ.

განათლების სამინისტროს შესაბამისი ორგანიზაცია მზად არის მხარში ამოუდგეს დაინტერესებულთ. მხოლოდ ერთობლივი ძალებით თუ შევძლებთ მდგომარეობის გამოსწორებას.

ჯემალ აბაიშვილი,
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა ცენტრალური რესპუბლიკური სახსპორტო სკოლის სპორტთამაშების განყოფილების ხელმძღვანელი.

„საჭიროა გაუმჯობესდეს მშრომელების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის დასვენების ორგანიზაცია, შეიქმნას პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ თავისუფალი დროის გონივრულ გამოყენებას, განვითარდეს კლუბების ქსელი ინტერესების მიხედვით, მათ შორის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, გაეწიოს მათ ყოველმხრივი დახმარება მუშაობის ორგანიზაციასა და განხორციელებაში“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ“.

სადაც ბანკეტი იმართებოდა



საბანკეტო დარბაზი! ამ რამდენიმე წლის წინათ თბილისში ბევრი ასეთი დარბაზი გაჩნდა (საცხოვრებელ ადგილებში სპორტული დარბაზებისა და სპორტისთვის სათავსების გამოყოფაზე კი სამწუხაროდ არავინ ზრუნავდა) მაღლივი კორპუსების ბოლო სართულებზე თუ სარდაფებში, ზოგან დაწესებულებების სახადილოებს ან სხვა ნაგებობებსაც უთმობდნენ ქორწილებსა და ქელეხებს. მაგრამ ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ საყოველთაო ბრძოლის პირობებში ვითარება რადიკალურად შეიცვალა. სწორედ ამის შემდეგ გამოჩნდნენ ენთუზიასტები, რომლებმაც წინადადება წამოაყენეს დარბაზები, რომლებზეც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში ჩაგვეყენებინა. ზოგიერთი რედაქციაშიც გვიწვია, კონკრეტული წინადადება შემოგვთავაზა. სურათები, რომელსაც დღეს გთავაზობთ, დიდმის მახივშია გადაღებული. საქმე ეხება I კვარტალის მე-10 კორპუსს, რომელიც კომუნალური სახლია. თავის დროზე აქ მე-17 სართულზე (სახლი 16-სართულიანია) საბანკეტო დარბაზი მოაწყვეს. მართლაც ჩინებული დარბაზია გათბობით, ცხელი და ცივი წყლით, კარგა მოზრდილი სამზარეულოთი, იქვეა რამდენიმე ისეთი სათავსო, საცხოვრებელ ადგილებში სპორტული და კულტურული მუშაობისთვის უკეთესს რომ ვერ ინატრებს კაცი, მაგრამ... მცხოვრებლებს ამ საკითხზე განსხვავებული აზრი აქვთ. ქვემოთ სწორედ ამაზე გვექნება საუბარი:

±: ვეთანხმები, არ ვეთანხმები

შესაძლებლობა არის, გავხსნათ ჯანმრთელობის კლუბი

დიდი ხანია მე და რამდენიმე ენთუზიასტი ვცდილობთ ჩვენი კორპუსის საბანკეტო დარბაზი მობინადრეების, განსაკუთრებით ბავშვთა შორის გამაჯანსაღებელი და კულტურული მუშაობისათვის გამოვიყენოთ. კონკრეტული წინადადება ასეთია: გავხსნათ გამაჯანსაღებელი კლუბი — დიდ დარბაზში ჩავატაროთ მეცადინეობები აერობიკაში, დავდგათ ტრენაჟორები (აქვე შეიძლება გასახდელების და საშხაპის მოწყობა), მოვიწვიოთ სპორტის პროპაგანდისტები, ერთ სათავსში შეიძლება ჭიდაობის ხელოვნება გაიხსნას, მეორეში—ჭადრაკისა და შაშის; შეიძლება დაიდგას ჩოგბურთის მაგიდებიც, არის ინვენტარის შესანახი ოთახიც. შეიძლება გავხსნათ სპორტული ლიტერატურის ბიბლიოთეკა და ა. შ. ამჯერად ეს სათავსები გამოუყენებელია.

თხოვნით მივმართავთ ყველას, ვისაც ეს საკითხი ეხება, აქტიურად ამოგვიდგნენ მხარში.

ბორბი ვაზიაშვილი,
XI სართულის მობინადრე.

ჩვენ კატეგორიული წინააღმდეგი ვართ

მე და ჩემი ოჯახი მე-16 სართულზე ვცხოვრობთ. დარბაზი კი მე-17 სართულზეა. მოვითხოვთ რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე ჩვენი ინტერესებიც გაითვალისწინონ. დაბლა სართულზე ხმაური ჩამოდის, ჩვენც ხომ გვინდა მოსვენება. მე-16 სართულზე მცხოვრებნი კატეგორიული წინააღმდეგი ვართ, რომ ზედა სართულზე იმუშაონ სპორტულმა ჯგუფებმა.

ციური ბაძრაძე,
XVI სართულის მობინადრე.

რედაქციისაგან: როგორც ხედავთ, ერთსა და იმავე საკითხზე ერთი კორპუსის მცხოვრებლებს დიამეტრულად საწინააღმდეგო აზრი აქვთ. ჩვენი მხრიდან დავძენდით, რომ მე-17 სართულის ფართობი მაინც შეიძლება მოსახლეობის სახარგებლოდ გამოვიყენოთ, ისე, რომ არც მე-16 სართულზე მცხოვრებ ოჯახებს დაერღვათ მყუდროება. მაგალითად, ამავე კორპუსში ბევრი ტურიზმის მოყვარული ცხოვრობს, რომლებსაც საკუთარი კარვები, ზურგჩანთები და სხვა აღჭურვილობა აქვთ, არიან ველოტურიზმის მოყვარულებიც, რატომ არ შეიძლება ოთახები მათ ამ ინვენტარის შესანახად გამოვუყოთ? ანდა ჭადრაკსა და შაშში ნორჩების მეცადინეობა რატომ შეუშლის ხელს დაბლა სართულზე მცხოვრებლებს? იქნებ უკეთესი გამოსავალიც არის და მართლაც გავხსნათ ჯანმრთელობის კლუბი.

ხაბოლოო პასუხს ველით პირველი მაისის რაიხაბჭოს აღმასკომისგან.

სურათებზე: ზევით — I კვარტალის X კორპუსი, ქვევით — დღეს ასე გამოიყურება ამ კორპუსის საბანკეტო დარბაზი მე-17 სართულზე.

საქართველოს ჩემპიონატი ტანვარჯიშში

მასობრიობას ოსტატობა მოსდევს

სარეკორდო რაოდენობა — 94 მონაწილე (აქედან ნახევარი ქალები იყვნენ) გამოვიდა სპორტულ ტანვარჯიშში (მრავალჭიდი) **გამართულ საქართველოს ჩემპიონატში, რომელიც ამ ორი დღის წინ დამთავრდა.**

— თავისთავად ამდენი მოვარჯიშის გამოსვლა დიდ სატანვარჯიშო ფიცარნაგზე ამ სახეობაში მომხდარ გარკვეულ ძვრებზე მეტყველებს, რასაც, დარწმუნებული ვარ, ოსტატობის ზრდაც მოჰყვება, — გვითხრა წარსულში ცნობილმა ტანმოვარჯიშემ, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ალექსანდრე ჯორჯაძემ.

ამ ჩემპიონატში მონაწილეობა არ მიუღიათ აღიარებულ ლიდერებს ვლადიმერ გოგოლაძეს და ეკა ზეთურიძეს, რომლებიც ამჟამად ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში, სსრ კავშირის ჩემპიონატისთვის (ჩელიაბინსკი, 13-20 აპრილი), მოსკოვში ემზადებიან. მაგრამ შეჯიბრებისადმი ინტერესი მაინც დიდი იყო — „პოტენციური ჩემპიონების“ გარეშე ბრძოლა პირველობისათვის უფრო მწვავე და საინტერესო გამოდგა. გამარჯვების შანსი პრაქტიკულად რამდენიმე მონაწილეს ჰქონდა, თუმცა გამოცდილებამ მაინც თავისი გაიტანა. თბილისელმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ანაიდა ლეონტიევამ (მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ე. კლიმოვა) დამჯერებლად მოიპოვა აბსოლუტური ჩემპიონის წოდება — 69,8 ქულა. მეორე ადგილზე 66,45 ქულით ეკა ბარამია გავიდა, მესამე იყო ინგა ქელიხაშვილი — 65,675.

ვაჟთა შეჯიბრებაში გამოცდილი სპორტის ოსტატი ამირან ბერიანიძე დაეწია პირველი დღის ასპარეზობის შემდეგ დაწინაურებულ ლევან სისაურს და გაუსწრო კიდეც. გამარჯვებულმა (მწვრთნელები, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ნ. ბახუტაშვილი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი მ. ბოგუსი) 99,625 ქულა მოაგროვა. ლ. სისაურის შედეგია 98,675, მესამე ადგილზე გასული ზაზა ხომასურიძისა — 97,9.

გუნდურ ასპარეზობაში დიდი უპირატესობით გაიმარჯვეს თბილისელებმა, რომელთა ღირსებას 55 ტანმოვარჯიშე იცავდა. მომდევნო ადგილებზე არიან აჭარის, აფხაზეთის, ზუგდიდის, ქუთაისისა და სამხრეთ ოსეთის გუნდები.

ასპარეზობა დამთავრდა, მაგრამ თბილისის გიორგი ეგნატაშვილის სახელობის განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვის ტანვარჯიშული სპორტსკოლის დარბაზი არ დაცარიელებულა. აქ უკვე დაიწყო მოსწავლეთა ტრადიციული ტურნირი „მართვეს“ პრიზზე, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ 1974 წელსა და უფრო გვიან დაბადებული სპორტსმენები.

ოთარ ოთარაშვილი.



ასპარეზობენ ჭაბუკი სამბისტები

ცოტა უცნაური სახელწოდება კი აქვს ამ შეჯიბრებას, მაგრამ მარტის თვის კალენდარში სწორედ ასე იყო შეტანილი: **რესპუბლიკის გუნდური პირველობა სამბოში სამხედრო-პატრიოტული აღზრდის კლუბებს შორის. ბორჯომი. 12-14 მარტი.** ჩვენ ჩვენის მხრივ იმას დავუმატებთ, რომ შეჯიბრებაში 1973-1974 წლებში დაბადებული ჭაბუკები ასპარეზობდნენ.

ტურნირი, რომელშიც 11 გუნდი მონაწილეობდა, საინტერესო და დაძაბული ბრძოლით აღინიშნა. ფინალში მონაწილეობის უფლება თბილისისა და გორის ძლიერმა გუნდებმა მოიპოვეს. გულშემატკივრები აქაც შეუპოვარ წინააღმდეგობას ელოდნენ, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. თბილისის გუნდმა ადვილად დაჩაგრა მეტოქე (13:3) და პირველი ადგილი დაიკავა.

ორივე ფინალისტმა საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. ეს ტურნირი აპრილის მიწურულს კიშინიოვში გაიმართება.

გამარჯვებული გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდნენ (წონითი კატეგორიების მიხედვით): მ. შამანაური, გ. ედიშერაშვილი, ბ. ოდიშვილი, მ. სიმონიშვილი, მ. მინდიკაური, რ. ყიფშიძე, კ. მიხანაშვილი, რ. ნარიმანაშვილი, ვ. ღვინიაშვილი, კ. ბარჯაძე, გ. იოსელიანი, ო. მარტიროსოვი, ვ. ხუციშვილი, გ. კირვალიძე, ს. ილიაევი და ა. მიქავა.

ცოტა უცნაური სახელწოდება კი აქვს ამ შეჯიბრებას, მაგრამ მარტის თვის კალენდარში სწორედ ასე იყო შეტანილი: **რესპუბლიკის გუნდური პირველობა სამბოში სამხედრო-პატრიოტული აღზრდის კლუბებს შორის. ბორჯომი. 12-14 მარტი.** ჩვენ ჩვენის მხრივ იმას დავუმატებთ, რომ შეჯიბრებაში 1973-1974 წლებში დაბადებული ჭაბუკები ასპარეზობდნენ.

ტურნირი, რომელშიც 11 გუნდი მონაწილეობდა, საინტერესო და დაძაბული ბრძოლით აღინიშნა. ფინალში მონაწილეობის უფლება თბილისისა და გორის ძლიერმა გუნდებმა მოიპოვეს. გულშემატკივრები აქაც შეუპოვარ წინააღმდეგობას ელოდნენ, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. თბილისის გუნდმა ადვილად დაჩაგრა მეტოქე (13:3) და პირველი ადგილი დაიკავა.

ორივე ფინალისტმა საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. ეს ტურნირი აპრილის მიწურულს კიშინიოვში გაიმართება.

გამარჯვებული გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდნენ (წონითი კატეგორიების მიხედვით): მ. შამანაური, გ. ედიშერაშვილი, ბ. ოდიშვილი, მ. სიმონიშვილი, მ. მინდიკაური, რ. ყიფშიძე, კ. მიხანაშვილი, რ. ნარიმანაშვილი, ვ. ღვინიაშვილი, კ. ბარჯაძე, გ. იოსელიანი, ო. მარტიროსოვი, ვ. ხუციშვილი, გ. კირვალიძე, ს. ილიაევი და ა. მიქავა.

სპორტი — სოფლად!

ბრიგადებს შორის

ზესტაფონის რაიონის სოფელ ფუთის ა. წერეთლის სახელობის კოლმეურნეობაში ჩატარდა საბრიგადო სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო შეჯიბრებები ჭადრაკში, შაშში და მაგიდის ჩოგბურთში.

შეჯიბრებებში, რომელიც წრიული სისტემით ჩატარდა, ჭადრაკში პირველი ადგილი დაიკავა № 5 ბრიგადის წევრმა ს. პირველაშვილმა. შაშში ყველას აჯობა ბ. ქათამაძემ (№ 2 ბრიგადა), მაგიდის ჩოგბურთში — დ. ქათამაძემ (№ 1 ბრიგადა).

გამარჯვებულებს კოლმეურნეობის გამგეობის სიგელები გადაეცათ.

პ. ნებიერიძე.

ზესტაფონი.

ᲙᲘᲠᲐᲡ, უმაღლესი ლიგის რეგბისტთა 24-ე საკავშირო ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩში ქუთაისის „მშენებელმა“ „დინამოს“ სტადიონზე მონინოს სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდს უმასპინძლა.

შეხვედრა მაღალ ტემპში დაიწყო. მეტოქეები კარგად იცნობენ ერთმანეთს, ასე რომ, დაზვერვისათვის დრო არ დაუკარგავთ. აშკარა იყო, ორივე გუნდს გამარჯვება სურდა.

საბჭოთა კავშირის 24-ე ჩემპიონატი რეგბიში

დამარცხების მიუხედავად

მეხუთე წუთზე, მასპინძელთა ერთი-ერთი მწვავე შეტევის დროს მონინოელებმა უყურადღებოდ დატოვეს ქუთაისელთა ნახევარმცველი ავთანდილ გიორგაძე და მან საკმაოდ შორი მანძილიდან ზუსტად დაარტყა. „მშენებელი“ დაწინაურა — 3:0. მალე მოედანზე უაღრესად დაძაბული პოზიციური ორთაბრძოლა გაჩაღდა, რაც სტუმრებს ხელს აძლევდა— ისინი კარგად იყენებდნენ სტანდარტულ მდგომარეობებს, ზედიზედ რამდენჯერმე იმარჯვეს შერკინებასა და აუტის გათამაშებაში და აი, ერთ-ერთ სტანდარტულ მდგომარეობაში მშენებლებმა შეცდომა დაუშვეს. საბჭოთა რეგბის საუკეთესო ბომბარდირმა იგორ მირონოვმა საჯარიმო დარტყმით ანგარიში გაათანაბრა — 3:3. პირველ ტაიმში ქუთაისელებს რამდენჯერმე შეეძლოთ დაწინაურება: ხამაშურიძემ თითქმის მოედნის ცენტრში დანიშნული საჯარიმო.. დან კარის ქვედა ძელს მოარტყა ბურთი (რაც ძალზე იშვიათია რეგბიში), შემდეგ კიდევ ოთხი საჯარიმო ვერ გამოიყენეს. მირონოვმა კი კვლავ ზუსტად დაარტყა და ჩემპიონი დაწინაურდა— 6:3.

მეორე ტაიმი მასპინძელთა მძაფრი იერიშებით დაიწყო. პირველსავე წუთებზე გიორგაძეს შეეძლო ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ მან კარის პირდაპირ დანიშნული, რეგბის 22-მეტრიანი (თუ შეეძლება ასე ითქვას) პენალტი ვერ გამოიყენა. მომდევნო 10 წუთის განმავლობაში მოსკოველები კიდევ ოთხჯერ დაჯარიმდნენ. ხამაშურიძემ ორჯერ ზუსტად დაარტყა საკმაოდ მოუხერხებელი მდგომარეობიდან და ანგარიში გახდა 9:6 „მშენებლის“ სასარგებლოდ. მატჩის ამ მონაკვეთში შეიქმნა წითაბეჭდილება, რომ ქუთაისელები შეძლებდნენ ძლიერი მეტოქის დამარცხებას, მაგრამ საშიშროების წინაშე მდგარი ჩემპიონი მთელი ძალით ითამაშა და შეძლო კიდეც თამაშში გარდატეხის [illegible] 67-ე წუთზე [illegible] და მატჩის [illegible] მონინოელებმა ორჯერ [illegible] ბურთი ქუთაისელთა ჩათვლის [illegible] და ანგარიშით 14:9 გაიმარჯვეს.

დამარცხების მიუხედავად, ამ თამაშმა ოპტიმისტურად განაწყო „მშენებლის“ გულშემატკივრები.

„მშენებლის“ ღირსებას იცავდნენ: ობოლაძე; ტურძელაძე, ლილუაშვილი, წივწივაძე (გაბიძაშვილი), ცხვარაძე (ნემსიწვერიძე); თხელიძე, ოდიშარია; ნაკუებია, მაჩიტაძე, გიორგაძე, ჟორჟოლიანი, გიორგობიანი, ლიპარტელიანი, ხამაშურიძე, ხარშილაძე.

თამაზ ᲮᲐᲠᲐᲑᲐᲫᲔ,
„ᲚᲔᲚᲝᲡ“ ᲮᲐᲯ. ᲙᲝᲠ.

ქუთაისი.

III ტურის სტატისტიკა

ფეხბურთის მოყვარულებს ვთავაზობთ საკავშირო ჩემპიონატის III ტურის სტატისტიკურ მონაცემებს.

„ქაირათი“ — ცსკა 0:2 (0:0). გოლები: კორნეევი, ტატარჩუკი (ცსკა).

დუბლიორები — 1:0.

„ზენიტი“ — „დინამო“ (მოსკოვი) 0:1 (0:0). მატჩის ბედი გადაწყვიტა მოსკოველი დობროვოლსკის მიერ 70-ე წუთზე გატანილმა ბურთმა.

გააფრთხილეს მოსკოვის დინამოელი სილკინი.

დუბლიორები — 2:1.

„სპარტაკი“ — „ნეფთჩი“ 4:1 (2:0). სპარტაკელთაგან ბურთები გაიტანეს მელიქიანმა, პასულკომ, ხიდიატულინმა, როდიონოვმა, ერთი ბურთით უპასუხა პროკოპენკომ. „ნეფთჩის“ კარში ორჯერ დაინიშნა 11-მეტრიანი და ორივე შემთხვევაში ბაქოელმა მეკარემ ჟიდკოვმა მოიგერია ჩერენკოვის დარტყმები.

დუბლიორები — 8:1.

„ყალგირისი“ — „დნეპრი“ 0:0. გააფრთხილეს „დნეპრის“ ფეხბურთელი ბაშკიროვი.

დუბლიორები — 2:1.

„დინამო“ (მინსკი) — „შახტიორი“ 0:0.

გააფრთხილეს დონეცკელი გულიაევი.

დუბლიორები — 1:1.

„დინამო“ (კიევი) — „არარატი“ 7:0. გოლები: ბლოხინი, ზავაროვი-3 (ერთი — პენალტით), რაცი, კუზნეცოვი, მოროზოვი.

გააფრთხილეს კიეველი ევტუშენკო და ერევნელი ა. ხაჩატრიანი.

დუბლიორები — 1:2.

● **ᲒᲐᲜᲕᲚᲘᲚ** ტურში 16 ბურთი გავიდა (12 — მასპინძლებმა, 4 — სტუმრებმა).

● **ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ** საუკეთესო ბომბარდირთა შორის წინ არიან კიეველი ა. ზავაროვი და დნეპროპეტროვსკელი ო. ტარანი.

● **ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ** დაწყებიდან 3 ტურში სულ დაინიშნა 6 პენალტი და ყველა — სტუმართა კარში.

● **ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ** ორგანიზატორებმა დააზუსტეს, რომ თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „სპარტაკის“ შეხვედრაში ბურთი გაიტანა არა პასულკომ, არამედ ერიომენკომ.

● **Ო. ᲢᲐᲠᲐᲜᲘᲡ** შემდეგ საიუბილეო ჩემპიონატში მეორე „ჰეთთრიკი“ შეასრულა კიეველმა ზავაროვმა.

● **ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡ** „არარატისა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ მატჩში დანიშნული იყო ორი პრიზი თითოეული გუნდის საუკეთესო მოთამაშისთვის. ტორპედოელთაგან პრიზი ერგო ა. პოლუკაროვს, მაგრამ მან დემონსტრაციულად, 40 ათასი მაყურებლის წინაშე, უარი განაცხადა პრიზის მიღებაზე.

IV ᲢᲣᲠᲘᲡ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ

28 ᲛᲐᲠᲢᲘ

„ზენიტი“ — ცსკა
„ტორპედო“ — „გურია“

29 ᲛᲐᲠᲢᲘ

„ქაირათი“ — „დინამო“ მ.
„ყალგირისი“ — „შახტიორი“
„დინამო“ მნ. — „დნეპრი“
„დინამო“ კ. — „ნეფთჩი“
„სპარტაკი“ — „არარატი“
„მეტალისტი“ -- „დინამო“ თბ.

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

ᲓᲣᲑᲚᲘᲝᲠᲗᲐ ᲗᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲝᲑᲐᲜᲘ

მდგომარეობა 25 მარტისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“	3	3	0	0	13–3	6
„ზენიტი“	3	2	1	0	5–2	5
„ყალგირისი“	3	2	1	0	4–2	5
„მეტალისტი“	3	2	0	1	7–4	4
„ნეფთჩი“	3	2	0	1	4–9	4
„ტორპედო“	3	1	1	1	3–2	3
„დინამო“ მნ.	3	1	1	1	5–5	3
„შახტიორი“	3	1	1	1	3–3	3
„ქაირათი“	3	1	1	1	5–6	3
„დნეპრი“	3	1	0	2	6–7	2
ცსკა	3	1	0	2	2–3	2
„არარატი“	3	1	0	2	3–5	2
„დინამო“ მ.	3	0	1	2	4–6	1
„დინამო“ თბ.	2	0	1	1	1–3	1
„დინამო“ კ.	1	0	0	1	1–2	0
„გურია“	2	0	0	2	3–7	0



მთამსვლელთა ახალი საჭიდლო



ᲙᲐᲠᲒᲐ ხანია, რაც მესტიის რაიონში მეკლდეურთა და მთამსვლელთა ჯგუფები ჩამოყალიბდა. ამ ჯგუფებს სათავეში უდგანან ადგილობრივი მთამსვლელები. შედეგები უკვე თვალსაჩინოა. მაგალითად, შარშან მეკლდეურობაში გამართულ საკავშირო ჩემპიონატში პირველი ქართველი გოგონა ზინა ჭკადუა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. ზინამ მულახში დაიწყო წვრთნა.

სტიქიის შემოტევას, რომელიც ამას წინათ დაატყდა თავს სვანეთს, მამაცურად აღუდგნენ სამაშველო სამსახურის რაზმები. სვანი მთამსვლელები, თბილისელებთან ერთად, დიდ თავდადებასა და შემართებას იჩენდნენ. განსაცდელმა ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა იმაში, რომ მთაში მცხოვრებნი აუცილებლად უნდა დაეუფლონ ალპინისტურ ჩვევებსა და ტექნიკას.

ამ დღეებში საქართველოს რესპუბლიკური პროფსაბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით მულახში მუშაობა დაიწყო ბავშვთა და მოზარდთა მთამსვლელთა სპორტულმა სკოლამ. აქ მეცადინეობენ ალპინიზმისა და ზამთრის სახეობების მიმდევრები. ამ შესანიშნავი წამოწყების თაოსნები არიან სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ მესვეურები. მესტიის რაიონში საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებულნი: ოსტატები და მაღალთანრიგოსანი მთამსვლელები საკმაოდ ბლომად არიან. ისინი მთელი დატვირთვით მუშაობენ ანალგაზრდებთან. მაგალითად, შარშან საინტერესო ასვლები განხორციელდა ცენტრალური კავკასიონის მწვერვალებზე.

მულახში ახლახან გახსნილ სკოლას დიდ პერსპექტივას უქმნის ცენტრალური კავკასიონის სხვადასხვა კატეგორიის სირთულის მწვერვალების სიახლოვე, ტვიბერისა და წანერის მყინვარებისა და საუკეთესო საწვრთნელი ადგილები: ბალახით დაფარული ფერდობები და თოვლ-ყინულიანი მონაკვეთები. სკოლას სათავეში ჩაუდგება გამოჩენილი მთამსვლელი, საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი, სპორტის ოსტატი ჯუმბერ კახიანი.

მესტიის ახალგაზრდა მთამსვლელთა ჯგუფი ამ დღეებში კახიანისა და ვ. რატიანის ხელმძღვანელობით საწვრთნელი მეცადინეობის ჩასატარებლად და სხვადასხვა კატეგორიის სირთულის მწვერვალების დასაპყრობად ბაქსანის ხეობაში (ჩრდილოეთ კავკასია) მიემგზავრება.

ᲓᲔᲜᲔᲖᲐ ᲒᲝᲬᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

სსრ კავშირის ჩემპიონატი ხელბურთში

უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს

ᲮᲔᲚᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ საკავშირო ჩემპიონატის მეორე ტურში თბილისის „ბურევესტნიკს“ ძლიერი მეტოქე ჰყავდა ქვეყნის ჩემპიონს მინსკის არმიელთა სახით. ქართველმა ხელბურთელებმა ძლიერად ჩაატარეს და 2 ბურთის სხვაობით მოიგეს მატჩის პირველი ნახევარი — 10:8. შესვენების შემდეგ უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდეს — ზედიზედ იღებდა მეტოქის კარს დემეტრაშვილი (ამ დღეს მან 6 ბურთი გაიტანა). სხვაობამ ანგარიშში შუა ტაიმში ხუთ ქულას მიაღწია — 14:9, 16:11. მაგრამ სტუმრებმა, რომელთა შორის ზუსტი ტყორცნებით გამოირჩეოდა ტუჩკინი (გაიტანა 9 ბურთი), გაათანაბრეს ანგარიში. ამას მალინოვსკის გოლიც მოჰყვა, მინსკელები დაწინაურდნენ — 17:16 და სტუმრებმა მიზანს მიაღწიეს — 22:20.

კრასნოდარის სკიფ-ი ჩელიაბინსკის „პოლიოტთან“ შეხვედრის პირველ ტაიმში ერთი ბურთით დაწინაურდა — 15:14, მატჩი კი ექვსი ქულით მოიგო — 29:23. ტირასპოლელებმა მაი-ს წინააღმდეგობა გაუწიეს მხოლოდ პირველ ტაიმში (12:12), შესვენების შემდეგ არც მათ ეყოთ „დენთი“ და თბილისის ტურნირში მეორედ დამარცხდნენ — 23:27.

გუშინ გაიმართა კიდევ სამი შეხვედრა: მაი — სკიფ-ი — 23:18, ასკ — „ტირასპოლი“ — 40:18, „პოლიოტი“ — „ბურევესტნიკი“ — 20:30.

დღეს ტურნირის მონაწილენი ისვენებენ.

შავიზღვისპირეთში

ᲡᲝᲩᲘ. ისინი ამ ველოსრბოლის ფავორიტებად ითვლებოდნენ, კლაიპედელი ს. რომანოვიც, კუიბიშეველი ა. საიტოვიც და რიგელი უ. ანსონსიც. იყო კიდევ ერთი ფავორიტი — რბოლა-კრიტერიუმში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის პირველ ტურში გამარჯვებული დ. აბდუჯაპაროვი (უზბეკეთი), მაგრამ ამჯერად იგი რაღაც „ჩრდილში“ იდგა და სოხუმში მხოლოდ IV ადგილი დაიკავა. და მაინც, აბდუჯაპაროვი პირველ ტურში გამარჯვების წყალობით საერთო ჩათვლაში ლიდერობას ინარჩუნებს (54 ქულა).

მეორე ტური კი კლაიპედელმა ი. რომანოვმა მოიგო. მეორე და მესამე ადგილები, შესაბამისად ა. საიტოვმა და უ. ანსონსმა დაიკავეს.

ახლა ყველაფერი მესამე ტურზეა დამოკიდებული, საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ვინაობა ერევანში გაირკვევა. მესამე ტურში საასპარეზოდ ველოსიპედისტები ივნისში შეიკრიბებიან.

ᲑᲐᲑᲠᲐ. დამთავრდა ველოსიპედისტთა კიდევ ერთი შეჯიბრება — საკავშირო მრავალდღიანი რბოლა შავიზღვისპირეთის გზებზე. ბოლო ეტაპი, რომლის სიგრძე 240 კილომეტრს შეადგენდა, კუიბიშეველმა მ. გახეევმა მოიგო — 5:55.06. შვიდი ეტაპის ჯამში მრავალდღიანი რბოლის ჩემპიონი სიმფეროპოლელი ვ. კლიმოვი გახდა.

ᲑᲐᲙᲣᲠᲘᲐᲜᲨᲘ კვლავ დიდი თოვლი დევს, თუმცა მარტის მზე გაზაფხულს გვიახლოვებს.

ახლახან აქ, როგორც იცით, სამთომოთხილამურეთა ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება დამთავრდა, მაგრამ აი, „ტატრა-პომას“ ტრასები კვლავ ახმიანდა — მიმდინარეობს სსრ კავშირის ჭაბუკთა და გოგონათა (1972-1974 წლებში დაბადებულთა) პირველობა, რომელშიც მოსკოვის, ლენინგრადის და 12 მოკავშირე რესპუბლიკის 167 სპორტსმენი მონაწილეობს.

კვლავ ახმიანდა „ტატრაპომა“

პირველ დღეს გოგონები სპეციალურ სლალომში შეეჯიბრნენ ერთმანეთს. 75 მონაწილეს შორის ორი ცდის შედეგად საუკეთესო დრო ტაშტაგოლელმა (კემეროვოს ოლქი) ლარისა მაიერმა („ბურევესტნიკი“) აჩვენა — 93,63. მომდევნო ადგილებზე არიან პეტროპავლოვსკელი ვარვარა ზელენსკაია — 95,46 და ბელორეცკელი ოლგა რუჩუკინა (ორივე — „სპარტაკი“) — 96,19. აღსანიშნავია, რომ სამივე სპორტსმენი პირველთანრიგოსანია და სამივე 15 წლისაა.

ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას ამ სახეობაში სამი ბაკურიანელი დინამოელი პირველთანრიგოსანი იცავდა: სოფიკო პეტროსიანი (39-ე ადგილი), ლელა ოგანეზოვა (46-ე) და მეგი პაპიტაშვილი (53-ე).

სპეცსლალომში, რომელშიც 92 ჭაბუკი მონაწილეობდა, უძლიერესი იყო კიროვსკელი სტანისლავ ნეჩიპორენკო („შრომითი რეზერვები“) — 86,25. საპრიზო ადგილებზე გავიდნენ ტაშტაგოლელი ოლეგ ოლშანსკი („ბურევესტნიკი“) — 88,48 და კიროვსკელი ანდრეი ემაშევი („შრომითი რეზერვები“) — 88,61. საინტერესოა, რომ ბაკურიანში სამივე პირველთანრიგოსნის წოდებით ჩამოვიდა, აქედან კი... ოსტატობის კანდიდატებად მიდიან. ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთაგან ყველაზე უკეთესად ბაკურიანელი მოსწავლე, 15 წლის ლევან სტეფანიანი („კოლმეურნე“) გამოვიდა — 22-ე ადგილი.

გიგანტურ სლალომში კვლავ ს. ნეჩიპორენკომ ისახელა თავი — 82,77. მეორე და მესამე ადგილებზე შესაბამისად ლენინგრადელი ალქსეი ლუბკინი (85,34) და კრასნოიარსკელი იგორ პუშინი (86,17) გავიდნენ. ლ. სტეფანიანი ამჯერად 25-ე იყო.

გოგონებიდან გიგანტური სლალომის ტრასა ყველაზე სწრაფად ზელინსკაიამ დაფარა — 69,17. მეორეა ლარისა მაიერი—69,57, მესამე — მისი თანაგუნდელი ნადეჟდა ლავრინა — 69,73. ბაკურიანელმა დინამოელმა მეგი პაპიტაშვილმა 34-ე შედეგი აჩვენა.

გუნდურ ჩათვლაში მორმანსკელი სამთომოთხილამურენი დაწინაურდნენ.

ᲡᲝᲤᲘᲙᲝ ᲮᲝᲗᲐᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
„ᲚᲔᲚᲝᲡ“ ᲙᲝᲠ. ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲗ.
ბაკურიანი.

ა. კარპოვ — ა. სოკოლოვის სუპერფინალური მატჩის მეათე პარტიაში

მეათე პარტია

პრეტენდენტთა სუპერფინალური მატჩის მეათე პარტიაში ახალინდური დაცვა გათამაშდა. კარპოვმა პოზიციურ უპირატესობას მიაღწია და ფუმცა პარტიის გადადების მომენტისთვის დაფაზე მატერიალური თანაფარდობა იყო, იგრძნობოდა, რომ შავებს გაუჭირდებოდათ თავის დაცვა. ასეც მოხდა, სოკოლოვი ვერაფერს გახდა. კარპოვმა კი თანდათან გაზარდა უპირატესობა და უიმედო პოზიციაში მისმა მეტოქემ საათი გააჩერა

ა. კარპოვ — ა. სოკოლოვი

ახალინდური დაცვა

1. d4 ∅f6 2. c4 e6 3. ∅f3 b6 4. g3 ♗a6 5. b3 ♗b4+ 6. ♗d2 ♘e7 7. ∅c3 0—0 8. e4 d5 9. cd ♘:f1 10. ♔:f1 ed 11. e5 de4 12. ♕e2 ∅:c3 13. ♘:c3 ♕d7 14. ♔g2 ∅c6 15. ♖he1 ∅d8 16. ∅g1 c5 17. f4 cd 18. ♘:d4 ♕f5 19. ♖ad1 ♗b4 20. ♖f1 ∅e6 21. ♕d3 ♕:d3 22. ♖:d3 ♖ac8 23. ∅f3 ♖c2+ 24. ♖f2 ♖fc8 25. f5 ∅:d4 26. ∅:d4 ♖:f2+ 27. ♔:f2 ♖c1 28. g4 ♔f8 29. ♔f3 ♖f1+ 30. ♔g3 ♖c1 31. ♔f4 h6 32. h4 ♔e8 33. ∅f3 ♖c2 34. a4 ♖b2 35. ∅d4 ♘e7 36. h5 a6 37. ♔f3 ♘c5 38. ∅e2 d4 39. ∅f4 ♔d7 40. e6+ ♔e8 41. ♔e4 a5 42. ♖f3 (ჩაწერილი სვლა) ♖b1 43. ∅d5 ♖g1 44. ♔d3 ♖:g4 45. f6 ♗d6 46. ∅:b6 ♖g5 47. fg ♖:g7 48. ∅c4 ♗b4 49. ef+ ♖:f7 50. ♖:f7 ♔:f7 51. ∅e5+ ♔f6 52. ∅c6 ♘e1 53. ∅:d4 ♗b4 54. ∅c6 ♘e1 55. ♔e2 ♘c3 56. ♔d3 ♘e1 57. ♔c4 ♔g5 58. ∅:a5 ♘:a5 59. b4 ♗d8 60. a5 ♔:h5 61. ♔b5 ♗g5 62. a6 ♘e3 63. ♔c6. შავები დანებდნენ.

ამრიგად, ანგარიშია 6,5:3,5 მსოფლიოს ექსჩემპიონის სასარგებლოდ.

გუშინ ანდრეი სოკოლოვმა მეორე, პრეტენდენტთა ამ მატჩში ბოლო ტაიმ-აუტი აიღო. ახლა XI პარტია რეგლამენტით ხუთშაბათს, 26 მარტს უნდა გაიმართოს.

საქართველოს ჩემპიონატი ჭადრაკში

ისევ თამარ ხუგაშვილი

ქალთა 43-ე ჩემპიონატის XV ტურში კახიანი თეთრებით ეთამაშებოდა ქასოშვილს. ცენტრალური პაიკებით მან გაბედულად შეუტია მეტოქის მეფეს და შავების კუ თითქმის მთლიანად გამოითიშა თამაშიდან. ქასოშვილი იძულებული გახდა პაიკის შეწირვით კონტრთამაში მიეღო. პარტია გადაიდო, კახიანს ზედმეტი პაიკი და მოგების შანსი აქვს.

ალიხანაშვილ — ჩაიკოვსკაიას პარტიაში თეთრებმა მოიპოვეს უპირატესობა. მიტელშპილში ორივე მოჭადრაკე დროის ნაკლებობას განიცდიდა. ალიხანაშვილს ორი ზედმეტი პაიკი ჰქონდა, მაგრამ დროს გადააცილა და პარტია წაგებულად ჩაეთვალა. სადუნიშვილთან შეხვედრაში ხუგაშვილმა ზუსტად გამოიყენა უპირატესობა და გაიმარჯვა. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ლანჩავა—ქ. მელაშვილი 1:0, ტერელაძე — ხუციშვილი 0,5:0,5; ნიკოლაძე — თანდაშვილის, მახარაძე — ნ. მელაშვილისა და ლაგვილავა — კობაიძის პარტიები გადაიდო.

15 ტურის შემდეგ ლიდერობენ: თამარ ხუგაშვილი—11 ქულა (14 შეხვედრიდან), ქეთევან კახიანი—10 (2), ციური კობაიძე, ჰენრიეტა ლაგვილავა, ნინო მელაშვილი — 8,5-8,5 (1-1; 14-14-დან), ლია სადუნიშვილი, ქეთევან მელაშვილი — 8,5-8,5 (14-14-დან), ციალა ქასოშვილი — 8 (2; 14-დან).

ვასილ ვაშაკიძე,
ოსტატობის კანდიდატი.



გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი, სპორტისა და შრომის ვეტერანი, რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონი ჭიდაობაში გიორგი (გივი) ჯულუხიძე.

სპორტი ბავშვობაში შეიყვარა და წლების მანძილზე საქართველოს ნაკრების წევრი იყო. მონაწილეობდა სხვადასხვა რანგის ტურნირებში და არაერთხელ პრიზიორიც ყოფილა. მერე, როცა სარბიელზე გამოსვლა შეწყვიტა, პედაგოგიურ საქმიანობას მიჰყო ხელი.

მუშაობდა ახალგაზრდა მოჭიდავეებთან, მოზრდილებთან, მუშაობდა გულდინჯად, მონდომებით, ცდილობდა აღსაზრდელებისთვის თავისი მდიდარი გამოცდილება გადაეცა. დიდხანს „შრომით რეზერვებში“ უფროს მწვრთნელად იყო, მუშაობდა თბილისის სპორტკომიტეტში, განათლების განყოფილების ბავშვთა სპორტსკოლაში, „ბურევესტნიკში“...

ბოლო დროს საქართველოს სახელმწიფო სპორტკომიტეტის ჭიდაობის უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკურ სკოლაში სასწავლო დარგს ხელმძღვანელობდა და ამ სკოლის დირექტორის მოადგილე იყო, ენერგიული და საქმიანი სპეციალისტი თანამშრომელთა და ამხანაგების ნდობითა და სიყვარულით სარგებლობდა.

მისმა ბევრ ჯულუხიძე სამოცი წლის გახდებოდა.

ჭიდაობის რესპუბლიკური ფედერაცია,
ჭიდაობის უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკური სკოლა.

უცხოეთის სპორტული ამბები ● ფეხბურთი ● რეგბი ● კრივი

„დიდი სლემი“ —ისევ ფრანგებს

რეგბისტთა „ხუთი ერის პირველობის“ დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე გამოვლინდა ერთპიროვნული ჩემპიონი — საფრანგეთის გუნდი, რომელმაც შაბათს დუბლინში, „ლენსდაუნ როუდის“ სტადიონზე ირლანდიის ნაკრებს სძლია — 19:13. აღსანიშნავია, რომ პირველ ტაიმში მომავალი ჩემპიონები შეხვედრას აგებდნენ ანგარიშით 0:10. იმავე დღეს ედინბურგის გარეუბან მერიფილდში შოტლანდიელებმა უელსელებს სძლიეს 21:15 (12:3).

ახლა სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ქ.
საფრანგეთი	4	4	0	0	8
შოტლანდია	3	2	0	1	4
უელსი	3	1	0	2	2
ირლანდია	3	1	0	2	2
ინგლისი	3	0	0	3	0

ამრიგად, ფრანგებმა ყველა მეტოქე დაამარცხეს და „მეოთხედ მოიპოვეს სიმბოლური „დიდი სლემი“ (ადრე წარმატებას 1968, 1977 და 1981 წლებში მიაღწიეს). ახლა საფრანგეთის ნაკრები ტურნირის 14-გზის გამარჯვებულია.

პირველობის ორი უკანასკნელი მატჩი 4 აპრილს გაიმართება. კარდიფში უელსის ნაკრები ირლანდიელებს შეხვდება, ლონდონის გარეუბან თვიქნემში კი ინგლისისა და შოტლანდიის გუნდები 103-ედ გაითამაშებენ „კალკუტის თასს“.

მხოლოდ ნოკაუტით იმარჯვებს

ბანგკოკში გაიმართა ქვემსუბუქი წონის პროფესიონალ მოკრივეთა მატჩი მსოფლიო პირველობაზე. საინტერესოა, რომ ორივე მეტოქეს მსოფლიო ჩემპიონის წოდება ჰქონდა: ტაილანდელ გალაქსს „უორლდ ბოქსინგ ასოციაციის“, ხოლო აშშ-ის წარმომადგენელ პიცალს — „ინტერნეიშნლ ბოქსინგ ფედერეიშნის“ ვერსიით.

მე-14 რაუნდში გალაქსმა ნოკაუტით გაიმარჯვა. ეს მისი მეხუთე მატჩია მსოფლიო პირველობაზე და საგულისხმო ის არის, რომ ყველა შეხვედრა ნოკაუტით მოიგო!

იტალია

23-ე ტურის ცენტრალური მატჩი მილანში ჩატარდა, სადაც „ინტერი“ „ნაპოლის“ შეხვდა. ამ მატჩში ერთადერთი გოლი „ინტერის“ მცველმა ბერგომომ გაიტანა. მიუხედავად დამარცხებისა, სტუმრებმა ძალიან კარგად ითამაშეს, „ინტერის“ მეკარემ ძენგამ მრავალგზის იხსნა კარი აშკარა გოლისაგან.

„ნაპოლის“ სამი ქულითდა ჩამორჩება „რომა“, რომელმაც ბარონისა და ბალდიერის გოლების მეშვეობით დაამარცხა „ემპოლი“ — 2:1. „მილანმა“ ფლორენციაში „ფიორენტინასთან“ პირველ ტაიმში ორი გოლი გაიტანა (გალდერიზი და ვირდისი), მაგრამ მასპინძლებმა გაათანაბრეს ანგარიში (პინი და დიასი) —2:2.

სხვა მატჩები: „ასკოლი“ — „უდინეზე“ 1:0, „აველინო“ — „ტორინო“ 0:0, „ატალანტა“ (ბერგამო)— „ელასი“ (ვერონა) 1:0. „იუვენტუსი“ (ტურინი) — „კომო“ 1:0, „სამპდორია“ (გენუა)— „ბრეშია“ 2:0.

„ნაპოლი“	23	34:13	34
„რომა“	23	32:16	31
„ინტერი“	23	29:15	30
„იუვენტუსი“	23	32:20	30

ესპანეთი

უეფა-ს თასზე „დანდი იუნაიტედთან“ დამარცხების შემდეგ „ბარსელონის“ ხელმძღვანელობამ უელსელი თავდამსხმელი მარკ ჰიუზი სამშობლოში გაგზავნა. ჰიუზმა მთელი სეზონის განმავლობაში ვერაფრით გამოიჩინა თავი. სან სებასტიანში „რეალ სოსიედადთან“ შეხვედრაში კატალონიელთა შემადგენლობაში დიდი ხნის შესვენების შემდეგ გამოჩნდა შოტლანდიელი სტივ არჩიბალდი, რომელიც ჰიუზის მაგივრად უცხოელი ფეხბურთელის ადგილს დაიკავებს. მე-8 წუთზე ანგარიში მასპინძელთა ნახევარმცველმა აიტორ ბეგირისტაინმა გახსნა. მეორე ტაიმში „ბარსელონამ“ გაათანაბრა ანგარიში (კალდერე)— 1:1.

მადრიდის „რეალმა“ დაამარცხა „ვალიადოლიდი“ — 2:1. ანგარიში მადრიდელმა პარდესამ გახსნა, მაგრამ სტუმრებმა პირველი ტაიმის დასასრულს საპასუხო გოლი გაიტანეს. მასპინძლები მსაჯმა „გადაარჩინა“, რომელმაც თერთმეტმეტრიანი დანიშნა სტუმრების კარში. მექსიკელმა უგო სანჩესმა თავისი მე-10 პენალტი გაიტანა წლევანდელ სეზონში.

სხვა მატჩები: „ესპანიოლი“ — „ატლეტიკი“ (ბილბაო) 2:1, „რეალი“ (მურსია) — „სევილია“ 2:1, „ლას პალმასი“ — „საბადელი“ 0:0, „სპორტინგი“ (ხიხონი) — „კადისი“ 2:1, „რეალი“ (სარაგოსა) — „რეალი“ (მალიორკა) 0:0, „ბეტისი“ — „რასინგი“ (სანტანდერი) 2:0, „ოსასუნა“ — „ატლეტიკო“ (მადრიდი) 0:2.

„რეალი“ (მადრ.)	32	57:28	47
„ბარსელონა“	32	43:20	45
„ესპანიოლი“	32	52:29	42

პორტუგალია

23-ე ტურში, რომელიც კვირას შედგა, „ბენფიკამ“ პირველი ქულა დაკარგა საკუთარ მოედანზე. ლიდერმა ფრედ (0:0) ითამაშა „შავეშთან“. „პორტუმ“ დაამარცხა „ბელენენსეში“ 1:0. გოლი ფერნანდუ გომეშმა გაიტანა. გომეში 20 გატანილი გოლით სათავეში უდგას ბომბარდირთა სიას.



გიმარაეშის „ვიტორიამ“ ქულა დაკარგა პორტუში „ბოავიშტასთან“ (1:1). ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვა ლისაბონის „სპორტინგმა“, რომელმაც ბრაგაში მოუგო ადგილობრივ „სპორტინგს“ (2:0). გოლები მანუელ ფერნანდეშმა და ბრაზილიელმა მარიუმ გაიტანეს. მას შემდეგ, რაც „სპორტინგს“ სათავეში ახალი მწვრთნელი ბერკინშოუ ჩაუდგა, გუნდს თამაში არ წაუგია და კვლავ შევიდა ლიდერთა ჯგუფში.

სხვა მატჩები: „ვარზიმი“ — „პორტმონენსე“ 1:1, „მარიტიმუ“ — „აკადემიკა“ 3:1, „ფარენსე“— „სალგეიროუში“ 0:0, „ელვაში“ — „რიუ ავე“ 1:0.

„ბენფიკა“	23	43:19	39
„პორტუ“	23	53:17	36
„ვიტორიაᲔ (გიმარ.)	23	37:16	33
„სპორტინგი“	23	39:21	30

გფრ

შაბათს „ბაიერნმა“ დაამარცხა „ნიურნბერგი“ — 4:0. გოლები გაიტანეს: მიჰაელ რუმენიგემ, ვოლფარტმა, ჰიონესმა და მათეუსმა. ბრემენის „ვერდერი“ საკუთარ მოედანზე სენსაციური ანგარიშით დამარცხდა მიონჰენგლადბახის „ბორუსიასთან“ — 1:7. „ჰამბურგმა“ ფრანკფურტში დაამარცხა „აინტრაჰტი“ — 3:1.

სხვა მატჩები: „ბაიერი“ (იურდინგენი) — „შალკე 04“ (გელზენკირხენი) 0:0, „ვალდჰოფი“ (მანჰაიმი) — „ფორტუნა“ (დიუსელდორფი) 1:1, „ბაიერი“ (ლევერკუზენი) — „კიოლნი“ 0:1, „ბოხუმი“ — „კაიზერსლაუტერნი“ 3:1.

„ბაიერნი“	21	41:21	30
„ჰამბურგი“	21	41:22	29
„ბაიერი“ (ლევერ.)	20	38:21	26

ინგლისი

ჩემპიონობისათვის ბრძოლას ისევ მხოლოდ ლივერპულის ორი გუნდი შემორჩა. „არსენალმა“, რომელიც დიდხანს ლიდერობდა, ბოლო 8 შეხვედრაში 1 ბურთი გაიტანა. იგი კვლავ დამარცხდა, ამჯერად — „უოტფორდთან“ (0:2).

„ტოტენჰემ ჰოტსპურმა“ გაიმარჯვა „ლივერპულთან“ (1:0). „ევერტონმა“ დაამარცხა „ჩარლტონ ათლეტიკი“ (2:1) და დაკარგული ქულების რაოდენობით დაეწია „ლივერპულს“.

სხვა მატჩები: „ჩელსი“ — „ვესტ ჰემ იუნაიტედი“ 1:0, „მანჩესტერ სიტი“ — „ნიუკასლ იუნაიტედი“ 0:0, „ნორიჩ სიტი“ — „ლუტონ თაუნი“ 0:0, „შეფილდ უენზდი“ — „მანჩესტერ იუნაიტედი“ 1:0, „საუთჰემპტონი“ — „ასტონ ვილა“ 5:0, „უიმბლდონი“ — „ქუინზ პარკ რეინჯერსი“ 1:1, „კოვენტრი სიტი“ — „ოქსფორ იუნაიტედი“ 3:0.

„ლივერპული“	34	60:32	67
„ევერტონი“	32	59:26	61

ბელგია

„ანდერლეხტისა“ და „ლოკერენის“ შეხვედრის პირველი ნახევარი სტუმრებმა მოიგეს — 3:0, მაგრამ მეორე ტაიმში „ანდერლეხტმა“ შეუძლებელი შეძლო, ჯერ გაათანაბრა ანგარიში, ბოლო წუთებზე კი გამარჯვების გოლიც გაიტანა — 4:3. გამარჯვებულთაგან ორ-ორი ბურთი გაიტანეს გრუნმა და გუდიონსენმა.

სხვა მატჩები: „ლიეჟი“ — „მეხელენი“ 0:3, „გენტი“ — „ბრიუგე“ 0:0, „ბერჰემი“ — „შარლეროუა“ 0:0, „კორტრეიკი“—„სტანდარდი“ 1:1, „ანტვერპენი“ — „ვარეგემი“ 0:1, „სერანჟი“ — „მოლენბეეკი“ 0:0, „ბევერენი“ — „ბერსხოტი“ 1:0, „სერკლ ბრიუგე“ — „რასინგ იეტი“ 2:0.

24 ტურის შემდეგ 39 ქულა აქვთ „ანდერლეხტსა“ და „მეხელენს“.

ჰოლანდია

„აიაქსმა“ დაამარცხა „სპარტა“ 3:0. ორი ბურთი გაიტანა ვან ბასტენმა, ერთი — ვინტერმა.

სხვა მატჩები: „ვენლო“ —„ვეენდამი“ 4:2, „ფორტუნა“ — „გოუეჰედ იგლზი“ 2:0, „უტრეხტი“ — „ექსელსიორი“ 5:3, „ფეიენოორდი“ — „დენ ჰაგი“ 4:0, „დენ ბოსხი“ — „ჰაარლემი“ 1:1, „ტვენტე“ — „გრონინგენი“ 0:0.

„აიაქსს“ 42 ქულა აქვს (24 თამაშიდან), „ეინდჰოვენს“ — 39 (22).

თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონი

25 მარტი
რეგბი

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი „ლოკომოტივი“ (თბილისი) — სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდი

დასაწყისი 18 საათზე.

„სპორტლოტო“

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტოს“ მორიგი, მე-11 ტირაჟების შედეგები.

„სპორტლოტო 6 45“-იდან: გაიყიდა 969514 ბარათი.

ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (32 ბარათი) მოგება 2236 მანეთია, ოთხისთვის (3791) — 23, სამისთვის (44031) — 3.

„სპორტლოტო 5 36“-იდან: გაიყიდა 8 899618 ბარათი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (4 ბარათი) მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (3373) — 273, სამისთვის (155322) — 11.

მოგებული თანხის განაღდება მეთერთმეტე ტირაჟებისა იწარმოებს 30 მარტიდან 30 აპრილის ჩათვლით.

• • •

მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოს“ მორიგი, XII ტირაჟი.

„სპორტლოტო 6 45“-დან: 8 (ველოსპორტი — ტრეკი), 13 (სამთო-სათხილამურო სპორტი), 29 (სასტენდო სროლა), 33 (ფეხბურთი), 34 (ბალახის ჰოკეი), 44 (ჭადრაკი).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 15 (ნიჩბოსნობა — ბაიდარა და კანოე), 18 (მძლეოსნობა), 30 (ძალოსნობა), 31 (ფარიკაობა), 34 (ბალახის ჰოკეი).

„სპორტპროგნოზი“

მე-11 ტირაჟის შედეგები
(1987 წლის 14-18 მარტი)

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა მე-11 ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაიშვა 3.716.091 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (22) მოგებამ 2.556 მანეთი შეადგინა, 12 შედეგის გამოცნობისთვის (777) — 149 მანეთი, 11 შედეგისა კი (11.335) — 34 მანეთი.

მე-11 ტირაჟის მოგებათა განაღდება იწარმოებს 1987 წლის 2 აპრილიდან — 2 მაისამდე.

ცისფერ ეკრანზე

ცენტრალური ტელევიზია. 25 მარტი. დილის დაფურვა — **8.00 (1);** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** საჭადრაკო გამოშვება: პრეტენდენტთა მატჩი მსოფლიო პირველობაზე — **9.00 (1);** საჭადრაკო სკოლა — **10.50 (2);** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფარიკაობაში — **23.10 (2).**

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ინდექსი: 66435. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 280096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ. 29. უე 06841